



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-75

15/02/2018

ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს „გარდაბანი თბოსადგური 2“-ის ელექტროსისტემასთან მიერთების მიზნით, ეგბ „ალავერდი“-ს ნაცვალად, ახალი ორჯაჭვა 220 კვ ძაბვის ეგბ-ს განთავსების პროექტზე“ სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4. ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართში მოცემული დასაბუთების საფუძველზე მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს „გარდაბანი თბოსადგური 2“-ის ელექტროსისტემასთან მიერთების მიზნით, ეგბ „ალავერდი“-ს ნაცვალად, ახალი ორჯაჭვა 220 კვ ძაბვის ეგბ-ს განთავსების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურების გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ.

აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით
გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
ლევან დავითაშვილი



მინისტრი